საქართველოს საპენსიო ფონდი
PENSION FUND OF GEORGIA

საქართველოს საპენსიო ფონდის 2025 წლის ანგარიში

სარჩევი

საანგარიშო წლის ძირითადი შეჯამება 3

1. საინვესტიციო საქმიანობის მიმოხილვა 5
2. საოპერაციო საქმიანობა 14
3. მონიტორინგის პროცესი 20
4. რისკების მართვა 21
5. შიდა აუდიტი 25
6. საინფორმაციო ტექნოლოგიები 26
7. ფონდის და საპენსიო სქემის ფინანსური ანგარიშგებების დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმება 27
8. 2025 წლის ბიუჯეტი 28
9. საზოგადოებასთან ურთიერთობა 28
10. საპენსიო ფონდის ნორმატიული აქტები 29
11. ძირითადი სტატისტიკური მონაცემები 2025 წლის მდგომარეობით 31

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს სსიპ საქართველოს საპენსიო ფონდის (შემდგომში - **ფონდი**) მიერ 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (შემდგომში - საანგარიშო პერიოდი) გაწეული საქმიანობისა და განხორციელებული ღონისძიებების ანგარიშს, რომელიც ასევე მოიცავს დაგროვებით საპენსიო სქემასთან (შემდგომში - **საპენსიო სქემა**) დაკავშირებულ მნიშვნელოვან ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს.

საანგარიშო წლის ძირითადი შეჯამება

2025 წელი საქართველოს საპენსიო ფონდისთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური გარდაქმნისა და მდგრადი ზრდის წელი იყო. „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში - კანონი) 2024 წლის ივლისში განხორციელებული ცვლილებების (საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი: 12.07.2024, სარეგისტრაციო კოდი: 280060000.05.001.102317) (შემდგომში- საკანონმდებლო ცვლილებები) საფუძველზე, 2025 წლის 1 მაისიდან შეიცვალა საპენსიო ფონდის მმართველობითი სტრუქტურა და საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები. შეიცვალა სსიპ საპენსიო სააგენტოს სახელწოდება და ორგანიზაცია ჩამოყალიბდა სსიპ საქართველოს საპენსიო ფონდის სახელწოდებით, ფონდის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოდ განისაზღვრა სსიპ საქართველოს საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭო, ხოლო საპენსიო ფონდის აღმასრულებელ ორგანოდ განისაზღვრნენ აღმასრულებელი დირექტორები: გენერალური დირექტორი, მთავარი საინვესტიციო ოფიცერი, მთავარი რისკის ოფიცერი და შიდა აუდიტის უფროსი.

საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 28 თებერვლის №51/04 ბრძანებით (საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი: 28.02.2025, სარეგისტრაციო კოდი: 220090000.18.011.016909) დამტკიცდა „სსიპ საქართველოს საპენსიო ფონდის მარეგულირებელი წესი“ (შემდგომში - წესი), რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს და აზუსტებს შესაბამის მოთხოვნებს საინვესტიციო, საოპერაციო, ადმინისტრაციული და რისკების მართვის მიმართულებით.

მმართველობითმა საბჭომ, კანონით მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებში, საქმიანობა დაიწყო 2025 წლის 1 მარტიდან. საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, მმართველობითი საბჭოს მიერ შეიქმნა და დაკომპლექტდა კანონით განსაზღვრული კომიტეტები, მათ შორის: საინვესტიციო კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას, საინვესტიციო პროცესების ზედამხედველობას, საინვესტიციო ფუნქციის კოორდინაციას და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებას; რისკის კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებს რისკის მართვის ჩარჩოს და მისი განხორციელების პროცედურებს; და აუდიტის კომიტეტი, რომელიც განიხილავს და ზედამხედველობს საპენსიო ფონდის ფინანსურ ანგარიშგებასთან, რისკების მართვასთან, შიდა კონტროლის სისტემასთან, შიდა აუდიტის საქმიანობასა და აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მმართველობით საბჭოს, საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, ასევე მიენიჭა უფლებამოსილება საჭიროების შემთხვევაში კანონით განსაზღვრული კომიტეტების გარდა შექმნას სხვა კომიტეტებიც. აღსანიშნავია, რომ ამ უფლებამოსილების ფარგლებში, საპენსიო ფონდის დებულების გათვალისწინებით, მმართველობითი საბჭოს მიერ შეიქმნა ანაზღაურებისა და ნომინირების კომიტეტი.

2025 წლის ბოლოსთვის საპენსიო ფონდის აქტივების წმინდა ღირებულებამ 8.2 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც წინა წელთან შედარებით 2.2 მილიარდი ლარით მეტია. აქტივების ზრდა განპირობებული იყო როგორც მონაწილეთა გაზრდილი საპენსიო შენატანებით, ასევე მაღალი საინვესტიციო შედეგებით. საანგარიშო პერიოდში ინვესტიციებიდან მიღებულმა მოგებამ ისტორიულ მაქსიმუმს — 792 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო ფონდის დაარსებიდან დღემდე დაგენერირებულმა საინვესტიციო ამონაგებმა 2.2 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

საპენსიო სქემის მასშტაბი კვლავ მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2025 წლის განმავლობაში სისტემაში გაწევრიანდა 125 ათასზე მეტი ახალი მონაწილე, ხოლო წლის ბოლოსთვის 2019 წლიდან რეგისტრირებულ მონაწილეთა საერთო რაოდენობამ 1.7 მილიონს გადააჭარბა. ამავე პერიოდში საპენსიო შენატანების ჯამურმა მოცულობამ 1.44 მილიარდი ლარი შეადგინა. ფონდი აგრძელებდა პენსიებისა და საპენსიო აქტივების გაცემას კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და 2025 წელს 11,367 პირზე გაცემული პენსიებისა და საპენსიო აქტივების მოცულობამ 62.8 მილიონი ლარი შეადგინა.

საინვესტიციო საქმიანობის კუთხით 2025 წელი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა. ფონდის ნომინალურმა წლიურმა ამონაგებმა 11.8%, ხოლო რეალურმა ამონაგებმა 7.6% შეადგინა. ფონდმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარებაში. 2025 წელს საპენსიო ფონდის მიერ ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში განხორციელებულმა ინვესტიციებმა 100 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც წლის განმავლობაში განხორციელებული ადგილობრივი ემისიების დაახლოებით მეხუთედს შეადგენდა. გაგრძელდა აქტიური მონაწილეობა საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი აუქციონებში და გაღრმავდა თანამშრომლობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. მაღალი შედეგები დაფიქსირდა საერთაშორისო აქციების პორტფელში, რომელმაც 20%-ზე მეტი ამონაგები გამოიმუშავა.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ოპერაციული პროცესების, რისკების მართვისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. განხორციელდა საინვესტიციო საქმიანობისთვის ახალი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის ძირითადი ეტაპები, გაფართოვდა ელექტრონული სერვისები, დაინერგა დამატებითი კიბერუსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის მექანიზმები, ხოლო ფონდმა წარმატებით გაიარა ISO/IEC 27001:2022 სტანდარტის სასერტიფიკაციო აუდიტი.

2025 წელი ასევე მნიშვნელოვანი იყო მონიტორინგისა და აღსრულების სისტემის განვითარების კუთხით. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დაინერგა საპენსიო შენატანების ვალდებულებების ავტომატური მონიტორინგისა და სანქცირების მექანიზმები, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა სისტემის ეფექტიანობა და მონაწილეთა ინტერესების დაცვა.

ფონდის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, 2025 წელს დამოუკიდებელი აუდიტი ჩაატარა შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველომ“. აუდიტორის მიერ მომზადებული დასკვნების შესაბამისად, ფონდისა და დაგროვებითი საპენსიო სქემის ფინანსური ანგარიშგებები არსებითად სამართლიანად ასახავს მათ ფინანსურ მდგომარეობას და მომზადებულია შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

1. საინვესტიციო საქმიანობის მიმოხილვა

1.1. საკანონმდებლო ცვლილებები და საინვესტიციო პროცესების განახლება

საანგარიშო პერიოდში ფონდის საქმიანობა განხორციელდა განახლებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად. ამასთან, წესის საფუძველზე, ფონდს დაევალა მისი წესების, დოკუმენტების და პროცედურების კანონთან და წესთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, 2025 წლის განმავლობაში საინვესტიციო კომიტეტმა დაიწყო შესაბამისი სამუშაოები, მათ შორის საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის გადახედვა და განახლება, რომლის პროცესებშიც საინვესტიციო სამსახური აქტიურად იყო ჩართული.

1.2. საინვესტიციო შედეგები და აქტივების განაწილება

2025 წელს საპენსიო აქტივების[1] ზრდის ტემპი მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის აქტივების წმინდა ღირებულებამ 8,233 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2024 წლის ბოლოს არსებულ მონაცემებთან შედარებით 2,169 მილიონი ლარით მეტია. აღნიშნული ზრდის ძირითადი მიზეზი გაზრდილი კონტრიბუციები (1,373 მილიონი ლარი) და მაღალი საინვესტიციო ამონაგები იყო. საანგარიშო პერიოდში ინვესტიციებიდან მიღებულმა მოგებამ ისტორიულ მაქსიმუმს, 792.0 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო ფონდის დაარსებიდან ჯამურად დაგენერირებული ამონაგების მოცულობამ 2.2 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

[1] ანგარიშის პირველ ნაწილში გამოყენებული ტერმინი საპენსიო აქტივები გამოხატავს საინვესტიციო საქმიანობისთვის განკუთვნილ საპენსიო აქტივებს

საპენსიო აქტივების დინამიკა



წყარო: საპენსიო ფონდი

ფონდის წმინდა ნომინალურმა წლიურმა ამონაგებმა 2025 წელს 11.8% შეადგინა, ხოლო ინფლაციის გათვალისწინებით რეალურმა ამონაგებმა - 7.6%. აღსანიშნავია, რომ ფონდის წლიურმა ნომინალურმა და რეალურმა ამონაგებმა ბოლო 7 წლის განმავლობაში (დაარსების დღიდან 2025 წლის ბოლომდე) შესაბამისად 10.2% და 4.4% შეადგინა.

საპენსიო აქტივების 80%-ზე მეტი ინვესტირებულია საქართველოში, რაც ფონდის მომგებიანობაზე ახდენს შესაბამის გავლენას. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2025 წელს კვლავ დაფიქსირდა მაღალი ეკონომიკური ზრდა, რამაც წინასწარი მონაცემებით 7.5% შეადგინა. მართალია აღნიშნული ეკონომიკური ზრდა წინა წელთან შედარებით, უფრო დაბალია (2024 წელს - 9.7% იყო), აღნიშნული უნდა განვიხილოთ, როგორც ეკონომიკური ზრდის ნორმალიზება და გრძელვადიან პოტენციურ დონესთან დაახლოება. ამავდროულად, გაიზარდა ინფლაციური წნეხი, რომელიც საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო პროდუქციის ფასების მატებამ განაპირობა. შედეგად, ინფლაცია 3.9%-მდე გაიზარდა და გადააჭარბა საქართველოს ეროვნული ბანკის 3.0%-იან სამიზნე მაჩვენებელს. ინფლაციის საპასუხოდ, ეროვნულმა ბანკმა 2025 წელს მკაცრი მონეტარული პოლიტიკა შეინარჩუნა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად 8.0%-ზე დატოვა. ინფლაციის მომატებულმა დონემ რეალური ამონაგების შემცირება გამოიწვია. ამასთან ერთად, წლის განმავლობაში ლარი დოლართან მიმართებით 4.2%-ით გამყარდა, რაც თავის მხრივ ქვეყანაში გაზრდილი უცხოური ვალუტის შემოდინებებს, გლობალურად სუსტ დოლარსა და ადგილობრივ ბაზარზე დოლარზე მოთხოვნის შენელებას უკავშირდება.

საინვესტიციო სამსახურის მთავარ პრიორიტეტად კანონის შესაბამისად, კვლავ რჩება საპენსიო სქემის მონაწილეთათვის ინფლაციის გათვალისწინებით რეალური ამონაგების

მაქსიმიზაცია. აღსანიშნავია, რომ ფონდის დაარსებიდან დღემდე გაწლიურებულმა რეალურმა ამონაგებმა 4.4% შეადგინა.

საინვესტიციო ამონაგები და ინფლაცია

31 დეკემბერი 2025



წყარო: საპენსიო ფონდი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაღალი მომგებიანობით გამოირჩეოდა ფონდის ძირითადი აქტივის ყველა კლასი. აღსანიშნავია საერთაშორისო აქციების პორტფელი, რომელმაც ყველაზე მაღალი მოგება აჩვენა და წლიურად 20.7%-ით გაიზარდა. ადგილობრივ აქტივებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სადეპოზიტო სერთიფიკატების პორტფელი, რომელსაც ფონდის აქტივებს შორის ყველაზე დიდი წილი უჭირავს და რომელიც სტაბილურად მაღალი მომგებიანობით ხასიათდება.

მომგებიანობა აქტივის კლასების მიხედვით, 2025



წყარო: საპენსიო ფონდი

პორტფელების ზრდის პარალელურად, გაგრძელდა აქტივების დივერსიფიკაციის სტრატეგია. წლების განმავლობაში ფონდის აქტივების სტრუქტურა ეტაპობრივად უფრო მრავალფეროვანი და დივერსიფიცირებული გახდა. აღნიშნული ტენდენცია 2025 წელსაც გაგრძელდა, სადაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საპენსიო ფონდის მიზანმიმართულმა და აქტიურმა მონაწილეობამ ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე, სადაც მსხვილი ინსტიტუციური ინვესტორის გამოჩენა ზრდის მნიშვნელოვანი კატალიზატორია.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო აქტივების 80.3% განთავსებული იყო ლარში, ხოლო 19.7% - უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებში. რაც შეეხება აქტივების განაწილებას ინსტრუმენტების მიხედვით, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 57.1% განთავსებული იყო 11 ქართულ კომერციულ ბანკში სადეპოზიტო სერთიფიკატებში, რომელთაც ერიცხებათ ფიქსირებული სარგებელი, ხოლო 2.1% - ნომინალური მფლობელობის სარგებლიან მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებსაც ერიცხება ცვლადი სარგებელი. უცხოურ აქციებში ინვესტირებული იყო პორტფელის 19.2%, ხოლო საქართველოს სახაზინო ფასიანი ქაღალდების წილი პორტფელის 16.3%-ს შეადგენდა. აქტივების 0.5% ევროობლიგაციებში იყო განთავსებული, 2.8% - საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ობლიგაციებში, 2.0% - ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციაში. საკრედიტო ხარისხის მიხედვით, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივების 87.2% განთავსებული იყო მინიმუმ ქვეყნის საკრედიტო რეიტინგზე ერთი საფეხურით ნაკლები რეიტინგის მქონე კომერციულ ბანკებსა და ფასიან ქაღალდებში. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საინვესტიციო სამსახური თანხების ინვესტირებას არ ახორციელებს საკრედიტო რეიტინგის არმქონე ბანკებსა და ფინანსურ ინსტრუმენტებში.

საპენსიო აქტივების განაწილება წლების მიხედვით, მილიონი ლარი



წყარო: საპენსიო ფონდი

ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ ეფექტიან მექანიზმად საქართველოში მოქმედ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან პარტნიორობა მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები საკვანძო როლს ასრულებენ საქართველოს ფინანსური სექტორისა და კაპიტალის ბაზრის განვითარებაში - ისინი ხელს უწყობენ ბაზრის ლიკვიდობის გაუმჯობესებას და ეკონომიკისთვის საჭირო გრძელვადიანი კაპიტალის მიწოდებას.

საპენსიო ფონდმა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ობლიგაციებში ინვესტირება პირველად 2024 წელს დაიწყო, როდესაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ლარში განთავსებული ევროობლიგაციები შეიძინა, რომლებიც საბოლოოდ ადგილობრივი ეკონომიკის დაფინანსებას მოხმარდა. 2025 წელს ფონდმა ინვესტიცია კიდევ ორ ინსტრუმენტში განახორციელა - აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) ობლიგაციებში.

მსგავსი ინვესტიციები ფონდისთვის დივერსიფიკაციისა და პორტფელის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალებაა. 2025 წლის ბოლოსთვის უმაღლესი საკრედიტო რეიტინგის (AAA) მქონე ობლიგაციების წილმა მთლიან პორტფელში 2.8% შეადგინა.

2025 განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ადგილობრივი კაპიტალის ბაზრისთვის. ლარში განთავსებული ობლიგაციების მოცულობამ 1.0 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც ისტორიული მაქსიმუმია. საკმაოდ აქტიური იყო ფონდის მონაწილეობა ამ ბაზარზე - 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ 100 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც ადგილობრივ ბაზარზე ემისიების დაახლოებით 20%-ს შეადგენს. მსგავსი ტიპის ინვესტიციები ემიტენტების ფინანსური მდგომარეობის, საკრედიტო ხარისხისა და რისკ-პროფილის დეტალურ ანალიზს ეფუძნება და ხელს უწყობს საპენსიო აქტივების დივერსიფიკაციას. თავის მხრივ, კაპიტალის ბაზრის განვითარება ქართული კომპანიებისთვის კაპიტალზე წვდომას ამარტივებს და ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ადგილობრივი კორპორაციული ობლიგაციების პორტფელის ჯამურმა მოცულობამ 165 მილიონი ლარი შეადგინა, რაც აქტივების 2.0%-ია. მიუხედავად აღნიშნული ზრდისა, კორპორაციული ობლიგაციების წილი ჯამურ აქტივებში კვლავ შედარებით დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდება. აქვე აღსანიშნავია ქართული კომპანიების აქტიურობა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზეც, სადაც საპენსიო ფონდის, როგორც ადგილობრივი მსხვილი ინსტიტუციური ინვესტორის მონაწილეობა მნიშვნელოვანი იყო.

ფონდი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სახაზინო ობლიგაციების ბაზარზეც. 2025 წელს გაგრძელდა ფონდის აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონებში. წლის განმავლობაში ფონდმა ჯამურად 320 მილიონი ლარის მოცულობის სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეიძინა 29 აუქციონის ფარგლებში, რის შედეგადაც საპენსიო ფონდის წილმა 11.4% შეადგინა.

2025 წელს გაგრძელდა საპენსიო აქტივების დივერსიფიკაცია საერთაშორისო ბაზრებზე. წლის განმავლობაში საერთაშორისო აქციებით ვაჭრობის ჯამურმა მოცულობამ 150 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული აქტივობის შედეგად, უცხოური აქციების წილი ჯამურ აქტივებში 2025 წლის ბოლოსთვის 19.2% შეადგინა. საერთაშორისო აქციების პორტფელი მოიცავს წამყვანი კომპანიების აქციებს და დივერსიფიცირებულია მსოფლიოს ძირითად ეკონომიკებში. 2025 წელი საერთაშორისო აქციებისთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა და მაღალი ორნიშნა მომგებიანობა აჩვენა, მათ შორის აღსანიშნავია ლათინური ამერიკის აქციების ფონდი, რომლის მოგებამაც 52.7% შეადგინა, ასევე ევროპული და განვითარებული აზიის აქციების ფონდებიც, რომელთა მომგებიანობამ დაახლოებით 30% შეადგინა.

საპენსიო ფონდის საერთაშორისო აქციების განაწილება, წილი %



წყარო: საპენსიო ფონდი

ფონდი კანონით დადგენილ მკაფიოდ განსაზღვრულ საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში ოპერირებს, რაც სამი განსხვავებული საინვესტიციო პორტფელის მართვას გულისხმობს: კონსერვატიული (ნაკლებრისკიანი), დაბალანსებული (საშუალორისკიანი) და დინამიკური (მაღალრისკიანი). აღსანიშნავია რომ დაბალანსებული და დინამიკური პორტფელები 2023 წლის აგვისტოში შეიქმნა.

2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, კონსერვატიული პორტფელი მთლიანი აქტივების 98.8%-ს (8,132.2 მილიონი ლარი) შეადგენდა, ხოლო დაბალანსებული და დინამიკური პორტფელები შესაბამისად 0.6% (46.8 მილიონი ლარი) და 0.6%-ს (51.8 მილიონი ლარი). 2025 წელს გაგრძელდა პორტფელებს შორის მონაწილეების რეალოკაცია მათი თავისუფალი არჩევანის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს აქტივების რეალოკაციის მოთხოვნების ძირითადი ნაწილი კონსერვატიული პორტფელიდან დინამიკურ პორტფელში აქტივების გადატანას უკავშირდებოდა და მსგავსი რეალოკაციების მოცულობამ 5.9 მილიონი ლარი შეადგინა. მიუხედავად ამისა, პორტფელებს შორის რეალოკაციის საერთო მასშტაბი კვლავ შედარებით დაბალ დონეზე ნარჩუნდება.

2025 წელი ფონდის საინვესტიციო პორტფელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული წელი აღმოჩნდა. წლის განმავლობაში სამივე პორტფელმა ორნიშნა ნომინალურ ამონაგებს მიაღწია; ყველაზე მაღალი მომგებიანობა დინამიკურმა პორტფელმა აჩვენა - 15.2%, რასაც მოჰყვა დაბალანსებული პორტფელი 13.3%-ით და კონსერვატიული პორტფელი 11.8%-ით. მიღებული შედეგები ასახავს როგორც საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ პოზიტიურ დინამიკას, ისე ადგილობრივ ბაზარზე მაღალი შემოსავლიანობის შენარჩუნებას.

საპენსიო აქტივების განაწილება პორტფელების მიხედვით

2025 წლის 31 დეკემბერი



წყარო: საპენსიო ფონდი

შემოსავლიანობის კუთხით პორტფელებს შორის განსხვავება ძირითადად განპირობებულია მათი საინვესტიციო პროფილითა და რისკისადმი განსხვავებული მიდგომებით. კერძოდ, დინამიკური პორტფელი, სადაც საერთაშორისო აქციების წილი შედარებით მაღალია, უფრო მეტად სარგებლობს აქციების ბაზრების ზრდით, ხოლო კონსერვატიული პორტფელი, სადაც აქციების წილი შედარებით დაბალია, მეტწილად ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებიდან მიღებულ სტაბილურ ამონაგებს ეყრდნობა. შედეგად, 2025 წელს აქციების ბაზარზე დაფიქსირებულმა მაღალმა მომგებიანობამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დინამიკური პორტფელის ამონაგებში და წლის განმავლობაში კონსერვატიულ და დაბალანსებულ პორტფელებთან შედარებით შესაბამისად 340 და 190 საბაზისო პუნქტით მეტი მომგებიანობა დააფიქსირა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში არსებულმა გეოპოლიტიკურმა არასტაბილურობამ პირდაპირი გავლენა მოახდინა პორტფელების მომგებიანობაზე.

საპენსიო ფონდის პორტფელების შემოსავლიანობა 2025 წელი



წყარო: საპენსიო ფონდი

2025 წელს შედარებით დაჩქარებული ინფლაციის მიუხედავად, საინვესტიციო პორტფელების რეალური ამონაგები კვლავ მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა: კონსერვატიული პორტფელის რეალურმა ამონაგებმა 7.5% შეადგინა, დაბალანსებულის - 9.0%, ხოლო დინამიკურის - 10.8%.

ნომინალური და რეალური ამონაგებები

დასაწყისიდან დღემდე, გაწლიურებული[2]



წყარო: საპენსიო ფონდი

[2] *პორტფელებისთვის გაწლიურებული რიცხვები დათვლილია 2023 წლის 6 აგვისტოდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ჯამურად 2019 წლიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით*

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო აქტივების განაწილება სამივე პორტფელისთვის - კონსერვატიული, დაბალანსებული და დინამიკური - სრულ შესაბამისობაში იყო როგორც კანონით, ისე საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულ ლიმიტებსა და მოთხოვნებთან. ამასთან, დაცული იყო მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული ყველა ლიმიტი და შეზღუდვა.

საინვესტიციო გუნდი ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის პრინციპით, რის შედეგადაც ფონდის საინვესტიციო საქმიანობა და პორტფელების დინამიკა სისტემატურად და დეტალურად არის ასახული საჯარო ანგარიშგებაში. აღნიშნული ანგარიშები მოიცავს პორტფელების დინამიკის მიმოხილვას, მათ შორის ადგილობრივი და საერთაშორისო აქტივების ანალიზს, ასევე პორტფელების განაწილების დეტალურ შეფასებას. გარდა ამისა, 2025 წლის მარტიდან ფონდმა დაიწყო ინტერაქტიული სტატისტიკის გამოქვეყნება, რომელიც მომზადებულია მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის პლატფორმა Power BI-ის გამოყენებით.

1.3. ინსტიტუციური განვითარება

2025 წელს ფონდმა გააგრძელა თანამშრომლობა მსოფლიო ბანკის რეზერვების მართვის საკონსულტაციო და პარტნიორობის პროგრამასთან (RAMP), რომელიც მნიშვნელოვან მხარდაჭერას უზრუნველყოფს ფონდის საინვესტიციო და რისკის მართვის ჩარჩოების შემდგომ გაძლიერებაში. პროგრამის ფარგლებში ფონდი კვლავ იღებდა მსოფლიო ბანკის ხაზინის ტექნიკურ მხარდაჭერას ინვესტიციების მართვის საკითხებში, მათ შორის მმართველობით პროცესებში, პორტფელისა და რისკების მართვაში, აქტივების განთავსების სტრატეგიის დაგეგმვასა და საინვესტიციო ოპერაციების ეფექტიან განხორციელებაში.

2025 წლის სექტემბერში, მსოფლიო ბანკის RAMP-ის პროგრამის ფარგლებში საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა მსოფლიო ბანკის ექსპერტთა ჯგუფი. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ფონდის მმართველობით საბჭოსთან, მენეჯმენტთან და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, სადაც ძირითადი ყურადღება დაეთმო ფონდის რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომ გაძლიერებას.

აღსანიშნავია ასევე, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საინვესტიციო სამსახურის თანამშრომლებმა საერთაშორისო და ადგილობრივი აღიარება დაიმსახურეს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გუნდის მაღალ პროფესიულ კომპეტენციას და ფონდის მზარდ რეპუტაციას საერთაშორისო პროფესიულ წრეებში.

1.4. საინვესტიციო საქმიანობის ოპერაციული მხარდაჭერა

საანგარიშო პერიოდში ფონდი აგრძელებდა შიდა საოპერაციო პროცესების განვითარებასა და საინვესტიციო საქმიანობის ტექნოლოგიურ გაძლიერებას. ამ მიზნის ფარგლებში გაგრძელდა ინვესტიციების მართვის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის პროექტი, რომლის

მიზანია საინვესტიციო პროცესების ავტომატიზაცია, მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება და საოპერაციო კონტროლის გაძლიერება. წლის განმავლობაში პორტფელის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებელთან თანამშრომლობით შესრულდა დანერგვის ძირითადი ეტაპები და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სისტემის ფუნქციონალს, მონაცემთა ვალიდაციას და სამუშაო პროცესებთან შესაბამისობის გადამოწმებას.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს წარმატებით განხორციელდა მომხმარებლის მიერ სისტემის ტესტირების ყველა ფაზა. ტესტირების ფარგლებში განხორციელდა ძირითადი ბიზნეს-სცენარების ტესტირება და ფუნქციონალების შემოწმება, რის შედეგადაც სისტემა ოფიციალურად მიღებულ იქნა საინვესტიციო სამსახურის მიერ და პროექტი გადავიდა დანერგვის დასკვნით ეტაპზე. პროექტის მიმდინარე გეგმის შესაბამისად, 2026 წლის იანვარში სისტემა სამუშაო რეჟიმში გაეშვა, რის შემდეგაც ეტაპობრივად ყოველდღიური საინვესტიციო პროცესი სრულად გადავა ახალ პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

საანგარიშო პერიოდში ფონდის საინვესტიციო საქმიანობა ხორციელდებოდა გამართული და კონტროლირებადი საოპერაციო ჩარჩოს ფარგლებში, რაც უზრუნველყოფდა საინვესტიციო ოპერაციების სრულ ციკლს - გარიგებების აღრიცხვას, ანგარიშსწორებას, პოზიციებისა და ფულადი ნაშთების მონიტორინგს, ასევე საოპერაციო მონაცემების დროულ და ზუსტ დამუშავებას. აღნიშნულმა ჩარჩომ უზრუნველყო საინვესტიციო საქმიანობის შეუფერხებლად და მაღალი ხარისხით განხორციელება და შექმნა საიმედო საფუძველი საინვესტიციო გადაწყვეტილებების ეფექტიანი შესრულებისთვის.

ფონდის საოპერაციო შესაძლებლობები ამავე პერიოდში გაძლიერდა პროცესების უწყვეტობის, მონაცემების სიზუსტისა და საოპერაციო რისკების ეფექტიანი მართვის შედეგად, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გაზრდილი მოცულობისა და სისტემური განვითარების პარალელურ პირობებში. განხორციელდა საოპერაციო პროცესების სტანდარტიზაცია, გაძლიერდა სპეციალიზებულ დეპოზიტართან რეკონსილაციის და მონიტორინგის მექანიზმები და დაინერგა ახალი საოპერაციო პრაქტიკები, რამაც ხელი შეუწყო საოპერაციო სტაბილურობის შენარჩუნებასა და ფონდის გრძელვადიანი განვითარების მხარდაჭერას.

2. საოპერაციო საქმიანობა

2.1. დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანების სტატისტიკა

საოპერაციო საქმიანობა საპენსიო შენატანების ადმინისტრირება და მასთან დაკავშირებული პროცესების მართვაა.

საპენსიო ფონდის ყოველდღიური ცვლილებების საფუძველზე ხდება კომერციულ ბანკებში და ფონდის სახაზინო ანგარიშებზე შესაბამისი ტრანზაქციების განხორციელება. შემოსული განცხადებების საფუძველზე მიმდინარეობს პენსიის დანიშვნა/გაცემისა და გადაანგარიშების პროცედურები, ასევე საპენსიო სქემიდან გასულებისათვის თანხების დაბრუნების პროცესი.

საოპერაციო პროცესები უზრუნველყოფს დამსაქმებლების, დასაქმებულებისა და თვითდასაქმებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შექმნილი მონაცემების დამუშავებას, პროცესების გამჭვირვალობას და ღიაობას.

კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საპენსიო სქემაში გაწევრიანება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის, გარდა იმ დასაქმებულისა, რომელსაც კანონის ამოქმედებამდე (2018 წლის 6 აგვისტო) შეუსრულდა 60 წელი (მამაკაცი) ან 55 წელი (ქალი).

საანგარიშო პერიოდში საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) დარეგისტრირდა 25,968 დამსაქმებელი და თვითდასაქმებული და გაწევრიანდა 125.6 ათასი დასაქმებული. შედეგად, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საპენსიო სქემაში დაარსებიდან დღემდე, გაწევრიანებულ მონაწილეთა რაოდენობამ ჯამში შეადგინა 1,7 მილიონი. 2019-2025 წლებში სქემიდან გავიდა 174 ათასი მონაწილე, პენსია დაენიშნა და საპენსიო აქტივები გაიცა 27 ათას მონაწილეზე ან/და გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრეზე და შესაბამისად 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით საპენსიო სქემაში დარჩა 1,51 მილიონი მონაწილე. ამავე პერიოდის ბოლოსთვის ფონდის სისტემაში რეგისტრირებულ დამსაქმებელთა საერთო რაოდენობამ 146 ათასი შეადგინა.

დამსაქმებელთა რაოდენობა



რეგისტრირებული მონაწილეთა რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: საპენსიო ფონდი

საპენსიო დეკლარაციების საფუძველზე 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საპენსიო შენატანების საერთო ოდენობამ (მაკორექტირებელი დეკლარაციების გარეშე) შეადგინა 6,215,781,413.28 ლარი, ხოლო 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 1,442,801,260.63 ლარი.

საპენსიო შენატანები წლების და კატეგორიების მიხედვით (ათასი ლარი)



წყარო: საპენსიო ფონდი

საპენსიო სქემიდან კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად გასვლის, არასწორად გაწევრიანებული დასაქმებულის მიერ საპენსიო სქემის დატოვების, პენსიის დანიშვნის ან/და საპენსიო

აქტივების გაცემის და მაკორექტირებელი დეკლარაციის საფუძველზე, საპენსიო აქტივების ჯამური მოცულობიდან 2019 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გამოტანილ იქნა 211,658,625.02 ლარი, ხოლო მხოლოდ 2025 წლის განმავლობაში - 70,586,158.09 ლარი. აქედან 2024-2025 პერიოდში 32 მონაწილეზე პენსია დაინიშნა პროგრამული გატანით და ფონდიდან გამოვიდა 197,576.72 ლარი.



წყარო: საპენსიო ფონდი

2.2. საოპერაციო საქმიანობის ძირითადი მონაცემები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:

- ელექტრონულ სისტემაში დამსაქმებლების სამუშაო გვერდზე დამატებული საბალანსო თანხის დაბრუნების ფუნქციონალის საფუძველზე, 2025 წლის განმავლობაში დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის მიერ ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უკან დაბრუნების მიზნით, მოთხოვნილ იქნა 937,861.26 ლარის ოდენობის ჯამური თანხა. აქედან დაკმაყოფილდა თანხის მოთხოვნები ჯამურად 743,031.11 ლარის ოდენობით, ხოლო უარყოფილ იქნა ჯამურად 194,830.15 ლარის ოდენობის მოთხოვნები.

- კერძო და საჯარო სექტორში შეცდომით გაწევრიანებული დასაქმებულის, მონაწილის სტატუსი გაუქმდა 252 დასაქმებულზე, ჯამური თანხით - 367,350.59 ლარი.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაკორექტირებელი დეკლარაციების საფუძველზე თანხის კორექტირება მოხდა 96,199 დასაქმებულის შემთხვევაში, ჯამური თანხით 7,093,846.25 ლარი. ამავე პერიოდის განმავლობაში 540 დასაქმებულმა (რომელთა ჯამური საპენსიო აქტივების ღირებულება შეადგენდა 389,811.46 ლარს) ისარგებლა საპენსიო სქემიდან გასვლის უფლებით (აღნიშნული მოიცავს მხოლოდ კანონის 22-ე მუხლის შედეგად სქემიდან გასულ დასაქმებულებს). საპენსიო სქემიდან გასული დასაქმებულებიდან საანგარიშო პერიოდში სქემაში ხელახლა გაწევრიანდა 1,827 დასაქმებული.

საანგარიშო პერიოდში საპენსიო ფონდმა განაახლა მომსახურების ხელშეკრულება სსიპ იუსტიციის სახლთან, რის შედეგადაც იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ერთეულებში

ფონდის სერვისების მიღება კვლავ შესაძლებელია. თანამშრომლობის ფარგლებში, საპენსიო ფონდის სერვისები ხელმისაწვდომია მთელი საქართველოს მასშტაბით - იუსტიციის სახლის 126 ფილიალსა და ასევე მობილურ იუსტიციის სახლებში, რაც ბენეფიციარებს შესაძლებლობას აძლევს სასურველი მომსახურება მეტად ხელმისაწვდომი იყოს.

საანგარიშო პერიოდში, ფონდისთვის მიმართვიანობის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

- ფონდის მოქალაქეთა მისაღებ სივრცეში გაწეული მომსახურება: 4,043 შემთხვევა;
- ფონდის ცხელ ხაზზე მიღებული და დამუშავებული ზარების რაოდენობა: 74 378;
- სსიპ იუსტიციის სახლის მიერ ფონდის სერვისებთან დაკავშირებით გაწეული მომსახურება: 22,718 შემთხვევა.

ფონდის სერვისების მაღალი ხარისხით მიწოდების მიზნით, ფონდის წარმომადგენლები პერიოდულად ატარებენ სასწავლო და საინფორმაციო შეხვედრებს სსიპ იუსტიციის სახლის შესაბამის წარმომადგენლებთან. საანგარიშო პერიოდში სსიპ იუსტიციის სახლთან თანამშრომლობით, საქართველოს მასშტაბით დაორგანიზდა და ჩატარდა მსგავსი ხასიათის 8 შეხვედრა.

2.3. დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლა

კანონისა და ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 7 მაისის №01 ბრძანებით დამტკიცებული „დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესის“ (შემდგომში - გასვლის წესი) თანახმად, დასაქმებული, რომელსაც კანონის ამოქმედებამდე (2018 წლის 6 აგვისტომდე) შეუსრულდა 40 წელი და რომელსაც არ სურს იყოს საპენსიო სქემის მონაწილე, უფლებამოსილია, კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად გავიდეს საპენსიო სქემიდან, ფონდისთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სავალდებულო წესით ავტომატურად გაწევრიანებიდან 5 თვის ვადაში, მაგრამ არაუადრეს გაწევრიანებიდან 3 თვისა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 540 დასაქმებულმა (რომელთა ჯამური საპენსიო აქტივების ღირებულება შეადგენდა 389,811.46 ლარს) ისარგებლა საპენსიო სქემიდან გასვლის უფლებით (აღნიშნული არ მოიცავს შეცდომით გაწევრიანებულ მონაწილეთა სტატუსის გაუქმებით გაცემულ თანხებს).

საპენსიო სქემიდან გასული დასაქმებულების რაოდენობა



წყარო: საპენსიო ფონდი

2019 წლიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასული დასაქმებულებისათვის საპენსიო ფონდიდან გამოტანილმა აქტივებმა შეადგინა 60,113,710.43 ლარი.

საპენსიო საქმიდან გასული დასაქმებულებისათვის ფონდიდან გამოტანილი აქტივები



წყარო: საპენსიო ფონდი

2.4. პენსიების და საპენსიო აქტივების გაცემა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 11,367 პირზე დანიშნულმა/გაცემულმა პენსიამ/საპენსიო აქტივმა შეადგინა 62,823,684.02 ლარი (ასაკის საფუძველზე დანიშნული პენსია, შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველზე დანიშნული პენსია, ქვეყნის სამუდამოდ დატოვების საფუძველზე და გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრისთვის გაცემული საპენსიო აქტივები), ხოლო ჯამურად, 2019-2025 წლებში 26,820 პირზე გაცემულმა თანხამ 123,912,785.73 ლარი შეადგინა.

აქტივების დანიშვნა

დანიშვნის საფუძვლების მიხედვით დანიშნული პენსიების რაოდენობა წლების მიხედვით

	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
ასაკი	107	159	247	564	2,022	6,090	8,565
შშმპ	67	195	295	622	992	1,327	1,818
ქვეყნის სამუდამოდ დატოვება	1	-	-	1	5	17	8
მემკვიდრე	10	112	297	666	728	929	976
სულ	**185**	**466**	**839**	**1,853**	**3,747**	**8,363**	**11,367**

დანიშვნის საფუძვლების მიხედვით დანიშნული პენსიების თანხები წლების მიხედვით

	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
ასაკი	40,507	208,028	413,338	1,579,295	7,834	27,949,306	44,066,672
შშმპ	24,289	234,958	608,244	1,868,287	3,837	6,953,173	13,840,965
ქვეყნის სამუდამოდ დატოვება	207	-	-	13,194	87	1,036,346	63,234
მემკვიდრე	14,158	103,132	537,496	1,898,625	2,256	3,592,732	4,852,812
სულ	**79,162**	**546,118**	**1,559,077**	**5,359,400**	**14,014**	**39,531,557**	**62,823,684**

3. მონიტორინგის პროცესი

მონიტორინგის პროცესი მოიცავს დამსაქმებლების მიერ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლს, დარღვევების გამოვლენასა და შესაბამის რეაგირებას. პროცესის მიზანია სქემის მონაწილეთა ინტერესების დაცვა, დამსაქმებელთა პასუხისმგებლიანი გარემოს ჩამოყალიბება და დაგროვებითი საპენსიო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

2025 წელს განხორციელდა 206 დამსაქმებლის მიერ 2025 წლის 1 მაისამდე წარმოშობილი საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულების მონიტორინგი. მონიტორინგის ფარგლებში დამსაქმებლების მიერ განხორციელდა 3.1 მილიონი ლარის საპენსიო შენატანი და გამოვლინდა 3.6 მილიონი ლარის განუხორციელებელი საპენსიო შენატანი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, დამსაქმებლების მიერ შესრულდა 2025 წლამდე წარმოშობილი ვალდებულებათა დაფარვა, რომელთა ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 56.7 მილიონი ლარი.

2025 წელს ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, 2025 წლის 1 მაისის შემდეგ წარმოშობილი საპენსიო შენატანის შეუსრულებელი ვალდებულების ფაქტი გამოვლინდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საშემოსავლო დეკლარაციის წარდგენის ვადის/საშემოსავლო დეკლარაციის შესწორების შემთხვევაში, აღნიშნული შესწორების თარიღის მომდევნო კალენდარულ დღეს. შედეგად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის – ჯარიმისა ან/და საურავის დაკისრება ხორციელდება ავტომატურად, თითოეული საშემოსავლო დეკლარაციის მიმართ.

2025 წლის 1 მაისის შემდგომ წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის 16,237 დამსაქმებელს დაეკისრა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ჯარიმა. 2025 წლის ბოლოსთვის დაკისრებული ჯარიმების ჯამურმა ოდენობამ 27.8 მილიონ ლარი შეადგინა. გამოვლენილი საპენსიო შენატანის ვალდებულების დარღვევების აღმოფხვრა უზრუნველყო დამსაქმებელთა 78%-მა.

2025 წლის საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულება სრულად შეასრულა დამსაქმებელთა 92%-მა, რაც წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით 43 პროცენტული პუნქტით მეტია.

4. რისკების მართვა

რისკების კონტროლის დეპარტამენტის მიერ 2025 წლის განმავლობაში დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანები და სამუშაოების ეფექტურობის მაჩვენებლების ყველა კომპონენტი სრულად შესრულდა.

2025 წელი რისკების კონტროლის დეპარტამენტისთვის წარმოადგენდა როგორც სისტემური განვითარების, ისე რისკების მართვისა და კონტროლის ფუნქციის ინსტიტუციური გაძლიერების ეტაპს. აღნიშნულ პერიოდში დეპარტამენტმა საქმიანობა განახორციელა კანონის, წესისა და ფონდის საქმიანობის სხვა მარეგულირებელი წესებისა და ნორმების მოთხოვნების შესაბამისად.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, ფონდის ახალი მმართველობითი სტრუქტურის ჩამოყალიბება და რისკების მართვის ფუნქციის სტრატეგიულ დონეზე

ინტეგრაცია, საფუძვლად დაედო რისკებზე ორიენტირებული მმართველობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

2025 წლის განმავლობაში ჩატარდა რისკის კომიტეტის 6 სხდომა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს რისკების კონტროლის დეპარტამენტი. სხდომის ფარგლებში განხილული და შეთანხმებული იქნა როგორც ტექნოლოგიური, ასევე საინვესტიციო და არასაინვესტიციო რისკებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიშები და განხორციელებული ღონისძიებები მიმართული იყო ფონდის სტრატეგიული მიზნების მიღწევის მხარდაჭერისკენ, საოპერაციო, შესაბამისობის, რეპუტაციული და საინვესტიციო რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და კონტროლის პროცესების გაუმჯობესებისკენ, აგრეთვე ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ბიზნეს-უწყვეტობის სისტემების გაძლიერებისკენ.

რისკების კონტროლის დეპარტამენტმა 2025 წლის განმავლობაში დროულად მოამზადა და შესაბამის ორგანოებს წარუდგინა:

- საოპერაციო, შესაბამისობისა და რეპუტაციული რისკების კვარტალური ანგარიშები;
- აგრეგირებული რისკის ანგარიში;
- საინვესტიციო რისკების ყოველთვიური ანგარიშები (მათ შორის 2025 წლის მაისიდან საინვესტიციო საქმიანობის მონიტორინგისა და კონტროლის ფუნქციის დაბრუნების შემდეგ).

აღნიშნული ანგარიშები სისტემატურად გაზიარდა რისკის კომიტეტთან, მმართველობით საბჭოსთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან, რაც უზრუნველყოფდა რისკებთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულ მიწოდებას და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მხარდაჭერას.

2025 წლის განმავლობაში დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით განხორციელდა საპენსიო ფონდის რისკის მართვის ჩარჩოს პროექტის შემუშავება, რომელიც მომზადდა მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და დამტკიცების მიზნით წარედგინა მმართველობით საბჭოს, ხოლო შემდგომ - ეროვნულ ბანკს.

რისკების უფრო ეფექტიანად მართვის, ტექნიკური კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისა და ავტომატიზაციის მიზნით, რისკების კონტროლის დეპარტამენტმა შეიძინა და დანერგა შემდეგი პროგრამული უზრუნველყოფა:

- ორდონიანი აუთენტიფიკაციის (2FA) სრული ამოქმედება;
- Conditional Access პოლიტიკების დანერგვა;
- მონაცემთა კლასიფიკაციის და მარკირების სრული ამოქმედება;
- DLP სისტემისა და მონაცემთა კლასიფიკაციისა და მარკირების სისტემების ინტეგრაცია;

- მოწყვლადობების სკანირების და მართვის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა და გამოყენება რეალურ გარემოში.

ასევე განახლდა „ელექტრონული საინფორმაციო სისტემების ცდომილებების და უსაფრთხოების ინციდენტების მართვის და მონიტორინგის“ (SIEM) პროგრამული უზრუნველყოფისა და „მონაცემთა გაჟონვის პრევენციის“ (DLP) სისტემის მხარდაჭერა.

აღნიშნული ღონისძიებები მიმართული იყო მონაცემთა კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისკენ, აგრეთვე ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების პრევენციისა და რისკების შემცირებისკენ.

2025 წელს რისკების კონტროლის დეპარტამენტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასა და ცნობიერების ამაღლებას.

დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ როგორც შიდა, ისე გარე სასწავლო და სასერტიფიკატო პროგრამებში, მათ შორის ინფორმაციული უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოების, ფინანსური რისკებისა და შიდა კონტროლის მიმართულებით.

ამასთან, დეპარტამენტი სისტემატურად ატარებდა სწავლებებს ცნობიერების ამაღლების მიზნით, ფონდის თანამშრომლებისთვის, რაც ხელს უწყობდა რისკებზე ორიენტირებული კულტურის განმტკიცებას ორგანიზაციის მასშტაბით.

2025 წლის მეოთხე კვარტალში საპენსიო ფონდში ჩატარდა „ფიზიკური და შრომის უსაფრთხოების ტრენინგი“, რომელსაც უძღვებოდნენ რისკების კონტროლის დეპარტამენტის, შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული თანამშრომლები.

რისკების კონტროლის დეპარტამენტმა 2025 წელს ფონდის ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

2025 წლის განმავლობაში რისკების კონტროლის დეპარტამენტის ინიციატივით ჩატარდა საპენსიო ფონდის ინფორმაციული უსაფრთხოების საკონსულტაციო საბჭოს (ყოფილი კომიტეტი) ორი სხდომა.

უფროსი ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცრის მიერ გადამოწმდა საპენსიო ფონდში არსებულ ელექტრონულ სისტემაში მომხმარებელთა წვდომები და უფლებები. ასევე, კომიტეტის ფარგლებში მოხდა რისკების კონტროლის დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსების განხილვა და განისაზღვრა ახალი რეკომენდაციების შესრულების ვადები.

2025 წლის იანვარში რისკების კონტროლის დეპარტამენტის მხრიდან ჩატარდა ISO27001:2022 სტანდარტის შესაბამისობის შიდა აუდიტი.

2025 წლის მესამე კვარტალში ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით, გარდა ყოველდღიური მონიტორინგისა და ინფორმაციული უსაფრთხოების პროცედურების მიხედვით სამუშაოს განხორციელებისა, რისკების კონტროლის დეპარტამენტმა წარმატებით

გაირა ISO/IEC 27001:2022 სტანდარტის სასერთიფიკაციო აუდიტი. აღნიშნული სტანდარტი წარმოადგენს მის უახლეს და გაუმჯობესებულ ვერსიას, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე გამოწვევებსა და ტექნოლოგიურ ცვლილებებს. აღსანიშნავია, რომ სასერთიფიკაციო აუდიტის ფარგლებში არ დაფიქსირდა ISO 27001 სტანდარტთან არცერთი ძირითადი ან/და მცირე შეუსაბამობა.

რისკების კონტროლის დეპარტამენტმა 2025 წელს ფონდის ბიზნეს უწყვეტობის მიმართულებით განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

რისკების კონტროლის დეპარტამენტი 2025 წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ფონდის ბიზნეს-უწყვეტობასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებასა და კონტროლში.

2025 წლის განმავლობაში განხორციელდა:

- ბიზნეს-უწყვეტობის გეგმებისა და პროცედურების გადახედვა და განახლება;
- ბიზნეს-უწყვეტობის საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა;
- ბიზნეს-პროცესების გავლენის (BIA) ანალიზი;
- ბიზნეს-უწყვეტობის ტესტირებები და სიმულაციები.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის განმავლობაში ფონდის საქმიანობაზე არსებითი გავლენის მქონე ბიზნეს-უწყვეტობის ინციდენტები არ დაფიქსირდა, ხოლო გამოვლენილი საოპერაციო ხარვეზები დროულად დამუშავდა შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის გზით.

2025 წლის განმავლობაში რისკების კონტროლის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ბიზნეს უწყვეტობის ტესტირება/სიმულაცია, მათ შორის წლის პირველ კვარტალში ჩატარდა ბიზნეს-უწყვეტობის პროცედურით გათვალისწინებული სცენარის პრაქტიკული ტესტირება[3]. გამოვლენილი შედეგების საფუძველზე განახლდა შესაბამისი პროცედურები და დამატებით შემუშავდა ახალი სცენარები ბიზნეს-უწყვეტობის სისტემის გაძლიერების მიზნით.

2025 წელს რისკების კონტროლის დეპარტამენტის ინიციატივით გადაიხედა და განახლდა საპენსიო ფონდის 40-მდე დოკუმენტი და მიღებულ იქნა ორი ახალი პოლიტიკა:

- „ღრუბლოვანი სერვისების მართვისა და გამოყენების პოლიტიკა“
- „ინფორმაციის სასიცოცხლო ციკლის მართვის პოლიტიკა“

2025 წლის განმავლობაში ფონდში მოხდა რამდენიმე ინციდენტი ბიზნეს-უწყვეტობასთან დაკავშირებით (კერძოდ, სამუშაო პროცესის ტექნიკური შეფერხებები, მათ შორის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა), რომლებიც დარეგისტრირდა ფონდის შესაბამის პროგრამაში, სადაც დეტალურად იქნა აღწერილი თითოეული შემთხვევა. აღსანიშნავია, რომ

[3] ბიზნესს უწყვეტობის მართვის პროცედურის სცენარით „ცრუ განგაში“ გათვალისწინებული სიმულაცია.

აღნიშნულ ინციდენტებს არ მოჰყოლია რაიმე სახის მატერიალური, ფინანსური ან/და რეპუტაციული ზიანი.

5. შიდა აუდიტი

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის სამსახური საქმიანობას ახორციელებს დამტკიცებული წლიური აუდიტის გეგმის შესაბამისად. ასევე, მმართველობითი საბჭოს მოთხოვნით განხორციელდა დამატებითი არაგეგმიური აუდიტები. წლის განმავლობაში შიდა აუდიტმა ჩაატარა ოთხი არაგეგმიური აუდიტი, რომლებიც მიზნად ისახავდა საოპერაციო, შესაბამისობისა და მმართველობითი რისკების იდენტიფიცირებას და შესაბამისი დიზაინის შემუშავებას.

ყველა აუდიტის ფარგლებში განხორციელდა შედარებითი ანალიზი კანონმდებლობასთან, პრაქტიკასთან და შიდა რეგულაციების შესაბამისობის დასადგენად. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები. მიმდინარე პროცესების ოპტიმიზაციისა და გაციფრულების მიზნით განხორციელდა კონკრეტული აქტივობები და შემუშავდა მნიშვნელოვანი პოლიტიკები.

შიდა აუდიტის სამსახური ასევე მონაწილეობდა გარე აუდიტორის შერჩევის პროცესში, მათ შორის შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებაში.

ადამიანური რესურსის განვითარების კუთხით შიდა აუდიტის სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას. შიდა აუდიტის სამსახური აგრძელებს ურთიერთობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტთან (ჰარმონიზაციის ცენტრი) ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით.

2025 წელს ჰარმონიზაციის ცენტრის კოორდინირებით და PEMPALIS-ის მეშვეობით გაიმართა შიდა აუდიტორთა შეხვედრა ახალი გლობალური სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილემ წარმატებით ჩააბარა გლობალურად აღიარებული შიდა აუდიტის სერტიფიკაციის — CIA (Certified Internal Auditor) — პირველი ნაწილი და ამჟამად წარმოადგენს მეორე და მესამე დონის კანდიდატს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სამსახურის პროფესიულ პოტენციალს.

6. საინფორმაციო ტექნოლოგიები

ფონდში არსებული მოწყობილობების, მონიტორინგის და ოპერაციული სისტემების დანერგვა, განახლება და ოპტიმიზაცია.

- განახლდა ქსელური მოწყობილობების პროგრამული უზრუნველყოფა და უსაფრთხოების სისტემების ვერსიები, რაც გაზრდის ქსელის დაცულობას თანამედროვე საფრთხეების წინააღმდეგ;
- განახლდა Windows ოპერაციული სისტემების ვერსიები, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების გაძლიერებას და სერვერების რესურსების ოპტიმიზაციას;

რისკების კონტროლის დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე გამოირთო Microsoft Store, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების გაძლიერებას, IT-კონტროლის გაუმჯობესებას და საოპერაციო პროცესების გამარტივებას. აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს დამატებით გარანტიას იმისა, რომ ორგანიზაციაში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფა იქნება მხოლოდ სანდო და დამტკიცებული წყაროებიდან.

ასევე განხორციელდა რედაქციული ცვლილებები არსებულ პოლიტიკებსა და პროცედურებში.

პროგრამული უზრუნველყოფა

საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, განხორციელდა შემდეგი პროგრამული უზრუნველყოფის ცვლილებები:

- წლიური მაკორექტირებელი დეკლარაციები - შემუშავდა ახალი ტიპის წლიური მაკორექტირებელი დეკლარაციები, რომელთა საშუალებითაც დამსაქმებლები პენსიის მიმღებებისა და მონაწილეების შემთხვევაში განახორციელებენ სსიპ შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემასთან შედარების შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების კორექტირებას. შესაბამისად, გაუქმდა ძველი მექანიზმით დეკლარაციების შექმნის შესაძლებლობა.

- სქემიდან გასული პირების შემთხვევაში შედარების შედეგების ხელმისაწვდომობა - განხორციელდა საპენსიო შენატანების ადმინისტრირების დამსაქმებლების ელექტრონულ სისტემაში (agency.pensions.ge) არსებული მოდულის მოდიფიცირება, რომელშიც წარმოდგენილია საშემოსავლო დეკლარაციებთან შედარების შედეგები. მოდიფიცირება ითვალისწინებს სქემიდან გასული პირების შემთხვევაში შედარების შედეგების ხელმისაწვდომობასა და წლიური მაკორექტირებელი დეკლარაციების დამსაქმებლების მიერ ინიცირების შესაძლებლობას.

- დასაქმებულის ან/და თვითდასაქმებულის ნებაყოფლობითი გაწევრიანება - შემუშავდა ფუნქციონალი, რომელიც ნებაყოფლობითი გაწევრიანების ფარგლებში

ავტომატურად უზრუნველყოფს მონაწილის პირადი გვერდის შექმნასა და განცხადებაში მითითებულ ელფოსტაზე პირველადი ავტორიზაციის პარამეტრების გადაგზავნას.

- შემოსავლების სამსახურთან (RS) ინტეგრაცია - პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

  - სამოქალაქო დოკუმენტების ნუსხის იმპლემენტაცია;
  - RS-დან მიღებული დეკლარაციების ადმინისტრირება;
  - ახალი ორგანიზაციების ავტომატური რეგისტრაცია და მათთვის RS-ით ავტორიზაციის ფუნქციონალის მიბმა;
  - ახალ დეკლარაციების შედეგად სრულად განახლდა საპენსიო შენატანის განხორციელებისა და ადმინისტრირების პროცესი;
  - შემუშავდა წინასწარ განსაზღვრული სცენარების შესაბამისად საურავის/ჯარიმის ავტომატური დარიცხვისა და ელექტრონული ოქმის გენერაციის ფუნქციონალი;
  - შენატანების სტატუსების შემოღება და სტანდარტიზაცია - განხორციელდა ფონდში შემოსულ ყველა ტიპის თანხებზე სტატუსების შემოღება , რომლებიც აღწერს მათ სასიცოცხლო ციკლს (Life Cycle).

აღნიშნული ამარტივებს დეკლარაციებთან ან/და შენატანებთან მუშაობას ისეთ პროცესებში, როგორებიცაა მაკორექტირებელი დეკლარაციის (შემცირების მიზნით) ადმინისტრირება, წლიური ხელფასის დათვლა (მათ შორის მაშინ, როდესაც მონაწილეს ფონდში რამდენჯერმე შემოსვლა-გასვლა აქვს) და ა.შ.

7. ფონდის და საპენსიო სქემის ფინანსური ანგარიშგებების დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმება

მმართველობითმა საბჭომ ფონდის გარე აუდიტორულ ფირმად შეარჩია შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“. მათ მიერ 2026 წლის 22 მაისს დასრულდა საპენსიო ფონდის 2025 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესი და მომზადდა შესაბამისი აუდიტის დასკვნები. ფონდის ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა IPSAS-ის და IFRS-ის სტანდარტების შესაბამისად, ხოლო ანგარიშგების აუდიტი განხორციელდა - ISA-ს სტანდარტით. აღნიშნული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები განთავსებულია ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

IFRS-ით მომზადებული საპენსიო სქემის ფინანსური მდგომარეობისა და საპენსიო სარგებლისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივების ცვლილებების ანგარიშგებები თან ერთვის წინამდებარე ანგარიშს დანართი №1-ის სახით.

IPSAS-ით მომზადებული საპენსიო ფონდის ფინანსური შედეგების, წმინდა აქტივების ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებები თან ერთვის წინამდებარე ანგარიშს დანართი №2-ის სახით.

8. 2025 წლის ბიუჯეტი

კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, საპენსიო ფონდის საქმიანობის დაფინანსების წყაროა მონაწილეთა საპენსიო აქტივები, საპენსიო აქტივების წლიური მომსახურების საფასურის სახით, რომელიც გამოიხატება საპენსიო აქტივების პროცენტული მოცულობით. 2025 წლის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 17 მილიონი ლარი. დამტკიცებული ბიუჯეტის 59% განკუთვნილი იყო საპენსიო ფონდის მმართველობითი და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, ხოლო 41% - საინვესტიციო საქმიანობისთვის. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელმა 97% შეადგინა.

2025 წელს სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების საკომისიომ შეადგინა 1,959,244 ლარი, ხოლო სხვა მომსახურებისა და ფინანსური გარიგების ჯამურმა ოდენობამ 5,411,917 ლარი. საპენსიო ფონდის მიერ ფინანსური წლის განმავლობაში პერსონალისთვის გადახდილმა ფიქსირებულმა და ცვლადმა ჯამურმა ანაზღაურებამ საშუალოდ 108 ადამიანზე შეადგინა 9,028,994 ლარი (მათ შორის ცვლადმა ანაზღაურებამ შეადგინა 1,475,593 ლარი), რომლის დაანგარიშება ხდება დარიცხვის მეთოდით.

9. საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებისთვის ინფორმაციის პროაქტიული მიწოდება და მაქსიმალური გამჭვირვალობა ფონდისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, 2025 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა 989 სატელევიზიო, რადიო, ონლაინ და ბეჭდური მასალა. აუდიტორიის ჯამურმა მოცვამ, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში 20 მილიონს გადააჭარბა (20,786,244 ადამიანი). ასევე, მონაწილეებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდებოდა ფონდის სოციალური ქსელების, ვებგვერდისა და ბლოგის მეშვეობით. 2025 წლის 31 მარტს ფონდმა ტრადიციულად გასული წლის საინვესტიციო შედეგების შემაჯამებელი პრეზენტაცია გამართა და წლიური საინვესტიციო ანგარიში წარადგინა. მომზადდა ვიდეომასალა და განთავსდა შესაბამისი ინფორმაცია საინფორმაციო სივრცეში.

საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით გატარდა მთელი რიგი საინფორმაციო ღონისძიებები: ინფორმირებისთვის, წინასწარ მომზადდა საინფორმაციო ბარათები და ვიდეო მასალა. გაიმართა უწყებათაშორისი შეხვედრა საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში (BAG), ბუღალტერთა ჯგუფების ჩართულობით ჩატარდა 5 შეხვედრა ხელმძღვანელ პირებთან და 10 შეხვედრა ონლაინ პლატფორმებზე, რომლებშიც 1,200-ზე მეტი ბუღალტერი მონაწილეობდა. ასევე ჩატარდა მთელი რიგი შეხვედრები შემოსავლების სამსახურის აქტიური ჩართულობით, მათ შორის განხორციელდა ერთობლივი სატელევიზიო ეთერები. მიმდინარე კამპანიის ფარგლებში განახლდა ვებგვერდისა და სოციალური ქსელების ვიზუალური მხარე, კანონში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით. მონაწილეთა პირად გვერდებზე გაიგზავნა

საინფორმაციო შეტყობინებები. გაშუქდა ISO/IEC 27001:2022 სტანდარტის სასერტიფიკაციო აუდიტის შეხვედრა და საქართველოს საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს შეხვედრა მსოფლიო ბანკის რეზერვების მართვის საკონსულტაციო პროგრამის (RAMP) წარმომადგენლებთან.

2025 წლის განმავლობაში ფონდს სოციალური ქსელის, ფეისბუქის საშუალებით, მოგვმართა 4,279-მა, ხოლო ელექტრონული ფოსტის მეშვეობით - 5,448-მა მოქალაქემ. საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში გრძელდება საინვესტიციო შედეგების ყოველთვიური ანგარიშის გამოქვეყნება, ასევე პროაქტიულად ქვეყნდება ყოველთვიური სტატისტიკური მონაცემები.

10. საპენსიო ფონდის ნორმატიული აქტები

საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მმართველობითი საბჭოს და გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გადაიხედა და ახალი რედაქციით დამტკიცდა ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარის 2025 წლის 1 მაისის №01 დადგენილებით დამტკიცდა ფონდის დებულება, რომელიც ადგენს ფონდის მოწყობისა და საქმიანობის ძირითად პრინციპებს. აღნიშნული დებულება ძალადაკარგულად იქნა ცნობილი მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარის 2026 წლის 26 მარტის №003 დადგენილებით და დამტკიცდა ახალი დებულება.
- გენერალური დირექტორის 2025 წლის 7 მაისის №01 ბრძანებით დამტკიცდა „დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნების და ნებაყოფლობით, ხელახლა გაწევრიანების წესი“, რომელიც განსაზღვრავს და აწესრიგებს კანონის შესაბამისად დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო აქტივების დაბრუნებისა და გადახდის, დაინტერესებული პირებისთვის ცნობების გაცემის, ასევე ხელახლა ან/და ნებაყოფლობით გაწევრიანების საკითხებს;
- გენერალური დირექტორის 2025 წლის 7 მაისის №02 ბრძანებით დამტკიცდა „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ ინსტრუქცია“, რომელიც კანონის შესაბამისად არეგულირებს, პენსიის დაანგარიშების, პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემისა და გადაანგარიშების, ასევე შეცდომით გაცემული თანხების გამოვლენისა და მათზე რეაგირების წესსა და პროცედურებს;
- გენერალური დირექტორის 2025 წლის 7 მაისის №03 ბრძანებით დამტკიცდა „საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის და საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის იდენტიფიცირების, ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის თანხის დაბრუნების, ჯარიმის და საურავის დაკისრების, აღსრულების და შესაბამისი კომუნიკაციის წესი“, რომელიც

განსაზღვრავს საპენსიო ფონდის მიერ მონიტორინგთან დაკავშირებულ უფლებამოსილებას.

- გენერალური დირექტორის 2025 წლის 7 მაისის №04 ბრძანებით დამტკიცდა „საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის, ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის და საპენსიო შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ღონისძიებების და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღვრავს კანონის შესაბამისად დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულო და ნებაყოფლობით გაწევრიანებასთან და საპენსიო შენატანების განხორციელებასთან დაკავშირებით პროცედურებს და სხვა საოპერაციოს საკითხებს.
- გენერალური დირექტორის 2025 წლის 7 მაისის №05 ბრძანებით დამტკიცდა „დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის მიერ საინვესტიციო პორტფელის არჩევის შესახებ ინსტრუქცია“, რომელიც კანონის შესაბამისად აწესებს მონაწილის/პენსიის მიმღების მიერ საინვესტიციო პორტფელის არჩევის, ასევე საინვესტიციო პორტფელებში საპენსიო აქტივების ავტომატურად გადანაწილების წესს;
- გენერალური დირექტორის და სსიპ შემოსავლების სამსახურის 2025 წლის 8 მაისის №06/01 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცდა „საპენსიო შენატანების განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ წესი“, რომლითაც დადგინდა 2025 წლის 1 მაისიდან მიღებულ ხელფასთან ან/და თვითდასაქმებულის შემოსავალთან დაკავშირებული საპენსიო შენატანის განხორციელების წესები.

საანგარიშო პერიოდში, დამატებით ცვლილებები განხორციელდა კანონში. კერძოდ, ცვლილებები შეეხო კანონის მე-6 მუხლს და დაზუსტდა საპენსიო შენატანის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით ჯარიმის დაკისრების საკითხი და საპენსიო შენატანის განუხორციელებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 165^{11}-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების წესი და პირობები. გარდა ამისა, გაიმიჯნა საურავის დაკისრების წესი და პირობები, რის შედეგადაც მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებით საპენსიო შენატანის განუხორციელებლობა ავტომატურად იწვევს დამსაქმებლისათვის საურავის დაკისრებას, ხოლო ჯარიმასთან მიმართებით განისაზღვრა კონკრეტული პირობები, რომლებიც შესაძლოა გახდეს ჯარიმის დაკისრების საფუძველი (საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი 30/06/2025, სარეგისტრაციო კოდი: 280060000.05.001.102728). კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ასევე განხორციელდა თანმდევი ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლითაც დაზუსტდა საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სარეგისტრაციო კოდი: 020000000.05.001.102724, გამოქვეყნების თარიღი: 30/06/2025).

11. ძირითადი სტატისტიკური მონაცემები 2025 წლის მდგომარეობით

მონაცემები წარმოდგენილია 2019 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	
სულ უნიკალური რეგისტრირებული მონაწილე	**1,705,334**
კერძო სექტორი	1,529,202
საჯარო სექტორი	422,509
სულ უნიკალური სქემიდან გასული მონაწილე	**175,794**
კერძო სექტორი	123,378
საჯარო სექტორი	52,416
დანიშნული პენსიები	**26,820**
ასაკით	17,749
შშმპ	5,316
ქვეყნის დატოვება	32
გარდაცვლილი მონაწილე / მემკვიდრე	2,383 / 3,723
დანიშნული პენსიები *(მლნ ლარი)*	**123,913**
სულ საპენსიო ფონდის აქტივების ღირებულება *(მლრდ ლარი)*	**8,237**

მონაცემები წარმოდგენილია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	
სულ უნიკალური რეგისტრირებული მონაწილე	**125,602**
კერძო სექტორი	113,184
საჯარო სექტორი	16,257
სულ უნიკალური სქემიდან გასული მონაწილე	**792**
კერძო სექტორი	659
საჯარო სექტორი	133
დანიშნული პენსიები	**11,367**
ასაკით	8,565
შშმპ	1,818
ქვეყნის დატოვება	8
გარდაცვლილი მონაწილე / მემკვიდრე	625/976
დანიშნული პენსიები *(მლნ ლარი)*	**62,824**

დანართი 1

IFRS-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (საპენსიო სქემა)

'000 ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
საპენსიო აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	309,077	254,154
ინვესტიციები საბანკო დეპოზიტებში	6	4,700,626	3,569,410
ინვესტიციები სავაჭრო ფასიან ქაღალდებში	7	3,355,730	2,367,776
სულ საპენსიო სარგებლისთვის განკუთვნილი წმინდა საპენსიო აქტივები		**8,365,433**	**6,191,340**
საპენსიო ვალდებულებები			
ვალდებულებები სქემის მონაწილეთა მიმართ	8	8,237,530	6,060,268
დაგროვილი თანხა, მომლოდინე რომ გახდეს სქემის მონაწილეთა მიმართ ვალდებულებები		(5,885)	6,442
გაუნაწილებელი თანხები	9	133,788	124,630
სულ საპენსიო ვალდებულებები		**8,365,433**	**6,191,340**

IFRS-ის საპენსიო სარგებლისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივების ცვლილებების ანგარიშგება (საპენსიო სქემა)

'000 ლარი	შენიშვნები	2025	2024
წმინდა აქტივების ზრდა:			
საპენსიო სქემის მონაწილეთა შენატანები:			
- კერძო დამსაქმებლები და მათი დასაქმებულები		843,224	692,043
- საჯარო დამსაქმებლები და მათი დასაქმებულები		217,567	175,799
საქართველოს სახელმწიფოს საპენსიო შენატანი		370,989	311,384
სულ სქემის მონაწილეთა შენატანი	8	**1,431,780**	**1,179,226**
გაუნაწილებელი თანხები	9	9,158	2,889
საპროცენტო შემოსავალი	5, 6	461,555	356,201
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ფლობით მიღებული წმინდა მოგება	7	319,147	197,986
დივიდენდის შემოსავალი		33,223	25,485
წმინდა აქტივების ჯამური ზრდა		**2,254,863**	**1,761,787**
წმინდა აქტივების შემცირება:			
გაცემული პენსია /საპენსიო აქტივები, მათ შორის, საპენსიო სქემიდან გასვლის გამო	10	(63,609)	(40,110)
საპენსიო სქემის მონაწილეზე ჯამურად გაცემული პენსია		**(63,609)**	**(40,110)**
საკურსო სხვაობის წმინდა ზარალი ფულად სახსრებზე და მათი ეკვივალენტებზე		(210)	(257)
სსიპ საპენსიო ფონდის დაფინანსება		(16,951)	(14,700)
წმინდა აქტივების ჯამური შემცირება		**(80,770)**	**(55,067)**
საპენსიო სარგებლისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივების წმინდა ზრდა		**2,174,093**	**1,706,720**
საპენსიო სარგებლისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივები 1 იანვარს		**6,191,340**	**4,484,620**
საპენსიო სარგებლისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივები 31 დეკემბერს		**8,365,433**	**6,191,340**

დანართი 2

IPSAS-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (საპენსიო ფონდი)

ლარი	შენიშვნები	2025	2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,318,309	1,591,508
არამატერიალური აქტივები	5	1,617,584	1,147,159
ავანსები გრძელვადიანი აქტივები	6	44,880	415,253
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,980,773**	**3,153,920**
მარაგები		35,255	25,897
ავანსები მომსახურებისა და მოკლევადიანი აქტივებისთვის	6	917,410	1,059,980
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	445,284	48,952
სულ მიმდინარე აქტივები		**1,397,949**	**1,134,829**
სულ აქტივები		**4,378,722**	**4,288,749**
წმინდა აქტივები			
აკუმულირებული ნამეტი		3,381,807	4,196,653
სულ წმინდა აქტივები		**3,381,807**	**4,196,653**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		550,208	46,531
გადავადებული ვალდებულებები		446,707	45,565
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**996,915**	**92,096**
სულ ვალდებულებები		**996,915**	**92,096**
სულ წმინდა აქტივები და ვალდებულებები		**4,378,722**	**4,288,749**

IPSAS-ის წმინდა აქტივების ცვლილებების ანგარიშგება (საპენსიო ფონდი)

ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან:			
სსიპ საქართველოს საპენსიო ფონდის დაფინანსება		16,549,906	14,653,724
სულ შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან		**16,549,906**	**14,653,724**
სანქციები, ჯარიმები და საურავები		1,334	2,676
სხვა შემოსავალი		8,775	-
სულ შემოსავალი		**16,560,015**	**14,656,400**
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(7,371,161)	(5,296,314)
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	10	(9,028,994)	(7,654,178)
ცვეთა და ამორტიზაცია	4,5	(974,556)	(734,858)
სულ ხარჯები		**(17,374,711)**	**(13,685,350)**
პერიოდის ნამეტი		**(814,696)**	**971,050**

IPSAS-ის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებები (საპენსიო ფონდი)

ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
პერიოდის ნამატი		(814,696)	971,050
კორექტირებები			
ცვეთა და ამორტიზაცია		974,556	734,858
ძირითადი საშუალებების გადაცემა		–	–
ცვლილება მარაგებში		(9,358)	(13,017)
ცვლილება ავანსების მომსახურებისა და მოკლევადიანი აქტივების შეძენისთვის და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		142,120	(575,073)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		503,677	24,990
ცვლილება გადავადებული შემოსავლის		401,141	45,565
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**1,197,440**	**1,188,373**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(799,970)	(1,140,131)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(799,970)**	**(1,140,131)**
მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		397,470	48,242
საკურსო სხვაობის ცვლილება ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებში		(1,138)	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		**48,952**	**710**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს		**445,284**	**48,952**